

# ხობის მოამბე

№12 (7137) 21 ოქტომბერი,
ხუთშაბათი, 2021 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

## 30 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტში მერის არჩევნების მეორე ტური გაიმართება




უპირველესად მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ამომრჩეველს აქტიურობისა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისთვის. ვულოცავ აწ უკვე არჩეულ მერებსა თუ საკრებულოს წევრებს გამარჯვებას.

გისურვებთ წარმატებას ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე!

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხობელებს, ჩემი და ჩემი გუნდის მხარდამჭერისთვის.

ყველასათვის ნათელია, რომ თვითმმართველობის არჩევნები დემოკრატიული სტანდარტების დაცვით, მშვიდ და უსაფრთხო გარემოში წარიმართა. ამ პროცესის ნაწილია საქართველოს რიგ ქალაქებსა თუ მუნიციპალიტეტებში გასამართი მეორე ტურიც, მათ შორის ხობში.

ახლა საჭიროა, კიდევ ერთხელ გავერთიანდეთ და ჩვენი გამარჯვება მივიყვანოთ ბოლომდე! დარწმუნებული ვარ, მეორე ტური იქნება მეტი მოტივაცია, რათა ერთიანი ძალებით, თქვენი მხარდამჭერითა და თანადგომით, უფრო დიდი შემართებით შევძლოთ დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება და დროულად დავიწყოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარება.

**დავით ბუკია**

### ხობის საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო-საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების საფუძველზე საოლქოს შემაჯამებელი ოქმი შეადგინა

2



### ნომრის სტუმარია საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ქალბატონი სოფიო პერტია.

3

ბლიც-ინტერვიუ



## „ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებას“

***ბატონო ლევან, მომავალი წარმატებების და გამარჯვებების მოლოდინით უპირველესად გულწრფელად გილოცავთ არჩევნებში გამარჯვებას. მმართველი გუნდის სიაში თქვენ №1 იყავით და საკრებულოს თავმჯდომარედ მოიაზრებით, მინდა მიმართოთ თქვენს ამომრჩევლებს და გამოხატოთ თქვენი ემოცია.***

–მოგესალმებით, მადლობა მოლოცვისთვის. მივესალმები თითოეულ ხობელს და გაზეთ „ხობის მოამბეს“ მკითხველებს.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ესესაა გამოაცხადა თვითმმართველობის არჩევნების შედეგები. პირველ რიგში, ვმადლობ ჩემს ამომრჩევლებს მხარდაჭერისთვის და ნდობის გამოცხადებისთვის. დიახ, მე გახლავართ მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი და ამავე დროს, ქალაქ ხობის მაჟორიტარი.

ძალიან ბევრი შეხვედრა გვქონდა წინასაარჩევნო პერიოდში, მოვიარეთ უკლებლივ ყველა სოფელი და ქალაქის ყველა უბანი. წინასაარჩევნო კამპანია ჩავატარეთ მშვიდობიანად, ყოველგვარი რადიკალიზმისა და დაპირისპირების გარეშე, ისე, რომ არც ერთი აუგი სიტყვა არ დაგვცდენია ჩვენს ოპონენტებზე. ამომრჩევლამდე მივიტანეთ ჩვენი საარჩევნო გეგმა და მომავალი განვითარების ხედვები. ძალიან კარგად მახსოვს თითოეული ამომრჩევლის გულთბილი დამოკიდებულება და ამავდროულად თითოეული მათგანის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც, ჩვენს გუნდთან ერთად, მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან შევუდგებით.

***ცნობილი ექიმის, ხობის საპატიო მოქალაქის ერთადერთმა ვაჟმა, კლინიკა „მკურნალის“ დამფუძნებელმა, ნერვოპათალოგმა, რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა?***

–ჩემთვის ბევრად მეტს ნიშნავს ვიყო რეალიზებული და წარმატებული ექიმი, ვიდრე საკრებულოს თავმჯდომარეობა ან რომელიმე, თუნდაც უფრო მაღალი თანამდებობა. პოლიტიკაში არ მოვსულვარ პირადი კეთილდღეობისთვის. ჯერ კიდევ 2008 წლის ბოლოს, მშობლიური ქალაქისადმი სიყვარულმა განაპირობა ჩემი დაბრუნება ხობში. ჩემთვის ყოველთვის შინაგან პროტესტს იწვევდა ის უსამართლობა, რომელიც იმ წლებში სუფევდა ჩვენს მუნიციპალიტეტში ისევე, როგორც მთელს ქვეყანაში. 2013 წლის 7 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტში დაფუძნდა მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საოლქო ორგანიზაცია, სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ვყოფილიყავი პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება ვყოფილიყავი პარტიული სიის პირველი ნომერი, რისთვისაც გულწრფელად ვუხდი მადლობას პარტიის ცენტრალურ ხელმძღვანელობას და ხობის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერაიას. ჩემთვის პროფესიიდან გამომდინარე, ადამიანებზე ზრუნვა ჩვეული საქმიანობაა, თუმცა საკრებულოს თავმჯდომარეობა მეტ შესაძლებლობას მომცემს ვიზრუნო არა მარტო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, არამედ მათ ყოველდღიურ ყოფით პრობლემებზეც.

***არჩევნების პირველი ტურის შედეგებით თქვენი გუნდი უმრავლესობაა საკრებულოში. როგორია პირველი შეხედულებები და მომავლის გეგმები?***

–2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო დაკომპლექტდა სრული შემადგენლობით, სადაც ჩვენი გუნდი იქნება უმრავლესობით წარმოდგენილი. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, აუცილებლად იქნება პროდუქტიული. ჩვენი გუნდი დაბალანსებულია, როგორც გამოცდილი, ასევე ახალგაზრდა კადრებით. ისინი აუცილებლად შეიტანენ უდიდეს წვლილს ხობის მუნიციპალიტეტის წარმატებისკენ სვლაში.

უმთავრეს მიზნად ვისახავთ ხობი გახდეს მეტად კომფორტული საცხოვრებლად და უფრო ლამაზი და მიმზიდველი სტუმრებისთვის. მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ არა მარტო ხობში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით არის ყველაზე პროგრესული, დემოკრატიული წესრიგის მქონე, ქართული ტრადიციების დაცვით ევროპული სტანდარტებისკენ მიმავალი ორგანიზაცია.

***ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურში ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ ღირსეულ მერობის კანდიდატს საბოლოოდ უნდა გამოუცხადოს ნდობა. რა მოლოდინები გაქვთ?***

–„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დავით ბუკია, არის მშობლიური ქალაქის გულანთებული პატრიოტი, ხობზე უზომოდ შეყვარებული, მერობის ღირსეული კანდიდატი. ის კარგი მენეჯერია, გამოცდილი იურისტი, რომელსაც გააჩნია საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. მისი ზოგადი განათლების მაღალი დონე, ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან ერთად, იძლევა იმის გარანტიას, რომ ის იქნება წარმატებული მერი. მასთან ერთ გუნდში ყოფნა, ჩემში დიდ ოპტიმიზმს იწვევს და იმედს იძლევა, რომ კოორდინირებული მუშაობით შევძლებთ ხობის მუნიციპალიტეტისთვის ბევრი სასიკეთო ინფრასტრუქტურული, სოციალური თუ სხვა პროექტის განხორციელებას.

დარწმუნებული ვარ, 30 ოქტომბერს, ხობელების აბსოლუტური უმრავლესობა კიდევ ერთხელ გააკეთებს სწორ არჩევანს „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის სასარგებლოდ და ერთად ვიზეიმებთ დავით ბუკიას გამარჯვებას.

***მერი ლაგვილავა.***

# ხობის საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო-საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების საფუძველზე საოლქოს შემაჯამებელი ოქმი შეადგინა


მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები - 02.10.2021 ფორმა №1-3.23.08 განკ. №92/2021 ხელახალი კენჭისყრა
№ 66 ხობის საარჩევნო ოლქი
საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი 63

| | | |
|---|---|---|
| 1 | ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | 2 7 2 6 5 |
| 2 | მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | 2 4 9 5 0 |
| 3 | არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | X 1 6 0 7 9 |
| 1 | „მეხამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი" | X X X 1 1 9 |
| 2 | „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" | X X X 3 4 8 |
| 5 | „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | X X 5 2 3 4 |
| 6 | „ევროპელი დემოკრატები" | X X X X 2 9 |
| 8 | „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | X X X 1 0 8 |
| 9 | „ლელო" | X X X 3 4 6 |
| 10 | „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია" | X X X 3 3 2 |
| 25 | გახარია - საქართველოსთვის | X X 2 1 7 9 |
| 36 | „გირჩი" | X X X X 6 7 |
| 37 | „თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)" | X X X X 1 4 |
| 41 | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | X X 6 6 2 3 |
| 45 | „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება" | X X X X 8 2 |
| 4 | ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (მიცემულ ხმათა რაოდენობების ჯამი) | X 1 5 4 8 1 |
| 5 | ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | X X X 5 7 1 |

| № | საარჩევნო უბანი № | ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში | ამ უბნებში გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | ბათილად ცნობის საფუძველი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგები




# პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგად მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა

## II. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან

**„ქართული ოცნება"**

1. გოჩა ქაჯაია
2. მზია ლემონჯარია
3. მამუკა ქარდავა
4. აკაკი მალანია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. ქეთევან კვირიკაშვილი
9. დიტო ხასია
10. ფრიდონი შონია
11. დოდო გაბუნია

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"**

1. ია ჯიშკარიანი
2. გურიელ ქარდავა
3. ლელა ადანაია
4. მოგელი ხუხია
5. ზურაბი შამათავა
6. თამარი ქირია
7. ფელიქსი წურწუმია
8. ჯანსული ჯიშკარიანი
9. ნინო ბოკუჩავა

**„გახარია–საქართველოსთვის"**

1. მალხაზი იოსავა
2. ირაკლი ზაქარაია
3. მაკა ჩარტია
4. ნუგზარი შუშანია

## III. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან

№66.01. ქ.ხობი–**ლევანი ქავთარაძე** („ქართული ოცნება").

№66.02. ახალი ხიბულა, ძველი ხიბულა–**ლევანი ლაშხია** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა").

№66.03. საჯიჯაო, გაღმა საჯიჯაო–**ვეფხვია ფოცხორაია** („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა").

№66.04. ბია, ნოჯიხევი–**ლევანი ლიპარტია** („ქართული ოცნება").

№66.05.თორსა-დღვაბა, ხამისკური–**ფრიდონი კუკავა** („ქართული ოცნება")

№66.06. ხეთა–**გივი ლატარია** („ქართული ოცნება")

№66.07. პირველი მაისი–**კობა გერგაია** („ქართული ოცნება")

№66.08 პატარა ფოთი, შავღელე–**აკაკი ხურცილავა** („ქართული ოცნება")

№66.09. საგვიჩიო, ჭალადიდი–**სერგო ბერაია** („ქართული ოცნება")

№66.10. პირველი ხორგა,შუა ხორგა, ქარიატა, ყულევი–**გიორგი გვასალია** („ქართული ოცნება")

№66.11გურიფული, სოფ.ახალსოფელი–**ბადრი რიჟამაძე** („ქართული ოცნება")

№66.12. ქვემო ქვალონი,შუა ქვალონი, ზემო ქვალონი–**ბექა ხარბედია** („ქართული ოცნება")

# 66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიაში დაძაბული სამუშაო გრაფიკით მუშაობენ. მიუხედავად ამისა, ნომრის სტუმარია საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ქალბატონი სოფიო კერტია.

1

**ქალბატონო სოფიო, ვიდრე ოფიციალურ მონაცემებს გაგვაცნობთ, გთხოვთ გაეცნოთ გაზეთის მკითხველებს.**

–ვარ სპეციალობით ისტორიკოსი, 12 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა მაკავშირებს ბიის საშუალო სკოლასთან, სადაც დიდი გამოცდილება მივიღე, 2006 წლიდან დღემდე ოთხჯერ ვარ არჩეული ამ პოზიციაზე, მყავს მეუღლე და სამი ქალიშვილი.

***ქ-ნო სოფიო, გთხოვთ დააკმაყოფილოთ მკითხველთა ფართო ინტერესი და მოგვიყევით როგორ და რა ვითარებაში ჩატარდა არჩევნების პირველი ტური?***

–2 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნები შედგა. №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიამ საჯაროდ წარმართა ყველა საარჩევნო პროცესი, მათ შორის ხმის დათვლის პროცედურები.

არჩევნები არის მასშტაბური პროცესი, მასში ჩართულობის თვალსაზრისით, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო არჩევნების ჩატრება ორგანიზებულად და გამჭვირვალედ, კომისიის წევრები გადამზადდნენ 6 ეტაპად და მიიღეს შესაბამისი ცოდნა, დაცული იყო კოვიდ რეგულაციები, ყველა ტრენინგზე ხდებოდა დამსწრეთა კოვიდ დატესტვა, ასევე დაცული იყო კენჭისყრის დღეს ყველა სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, რათა უსაფრთხო გარემო დახვედროდა ამომრჩეველს. კენჭისყრის დღემდე პერიოდში კომისიების მუშაობის შედეგად მივიღეთ კარგად შესწავლილი და გადამოწმებული გადასატანი საარჩევნო ყუთის სია. კომისიების საქმიდამი პასუხისმგებლობა იგრძნობოდა მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაში.

2021 წელს საარჩევნო კანონმდებლობაში საკმაოდ მაშტაბური და მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, წინასაარჩევნო კამპანიის მარეგულირებელი ნორმები, საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა, ყველა უბნის დათვლის პროცესზე მიმდინარეობდა ვიდეოფიქსაცია, 2 ოქტომბრის არჩევნებზე საარჩევნო უბნებზე ხმის დათვლის პროცესის დროს გადაღებული ვიდეომასალა google drive-ის პლატფორმაზე უკვე განთავსდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ის, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებს გაუჩნდათ ვალდებულება საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნებიდან შემთხვევითი შერჩევით კომისიის სხდომაზე გამოევლინა 5 საარჩევნო უბანი. 4 ოქტომბერს გაიხსნა ამ უბნების დალუქული პაკეტები და ხელახლა გადაითვალა საარჩევნო ბიულეტენები.

აღნიშნული უბნების გადათვლა განხორციელდა ერთ სივრცეში, კულტურის სახლის ფოიეში. მინდა აღვნიშნო, რომ ხუთივე უბნის ოქმის მონაცემები და გადათვლილი დოკუმენტაცია დაემთხვა ერთმანეთს, იდენტური იყო, რაც ადასტურებს, რომ მონაცემები ზუსტად ასახავს ამომრჩევლების ნებას, რომელიც მათ საარჩევნო უბნებზე, თავისუფალ და გამჭვირვალე გარემოში გამოხატეს.

საერთო ჯამში გადაითვალა 11 უბანი, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ოლქმა გადაითვალა 5 უბნის შედეგები, დისბალანსის და შეუსაბამობის საფუძველზე 2 უბანი, საკუთარი ინიციატივით 4 უბანი. გადათვლის პროცესმა მოგვცა მზაობა, რომ პროცესი გამჭვირვალე ყოფილიყო.

წინ მეორე ტური გველოდება. ყოველივე ეს იმის პოზიტიური წინაპირობაა, რომ დაცულია ყველა ამომრჩევლის ხმა.

***მუნიციპალიტეტის საკრებულო უკვე დაკომპლექტებულია?***

–საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა, აჯამებს საკრებულოს არჩევნებს და ადგენს საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების თითოეული სახის შემაჯამებელ ოქმებს. საკრებულო დაკომპლექტდა ასეთი შემადგენლობით:

**№41 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სიით-11, მაჟორიტარი-10.**

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სიით-9, მაჟორიტარი-2.

№25 „გახარია-საქართველოსთვის" სიით-4.

***როგორ ემზადება ოლქი მეორე ტურისთვის, რა სიახლეებია?***

–ხობის ოლქში იმართება მერის მეორე ტური, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 169 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის თანახმად, მერის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო, რადგან ამ მოცემულობით ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო კანონით განსაზღვრულ ხმათა საჭირო რაოდენობა, დაინიშნა არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია და ჩატარდება არჩევნებიდან მეოთხე შაბათს.

არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმები მიიღეს, მეორე ტურის თარიღი განსაზღვრულია და ის გაიმართება 30 ოქტომბერს. არჩევნების მეორე ტურის მერობის კანდიდატებია:

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" **ბესიკი შენგელია;**

№41 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" **დავით ბუკია.**

***რას ურჩევთ უბნებს, კომისიებს და ამომრჩევლებს?***

–მადლობა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რომელიც მათ კენჭისყრის დღეს მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის გასწიეს, ამომრჩევლებს, ჩართულ მხარეებს, დამკვირვებლებსა და მედიას ამ პროცესებში აქტიური ჩართულობისთვის.

საარჩევნო ადმინისტრაცია აგრძელებს მუშაობას მეორე ტურის ჩასატარებლად, ამომრჩეველს კი მოვუწოდებ მივიდნენ არჩევნებზე, დევიზი უცვლელია–„ჩვენ ერთად ვატარებთ არჩევნებს".

მადლობა თქვენს გაზეთს, რადგან გვქონდა და გვაქვს შესაძლებლობა ამომრჩეველს მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ სიახლეებთან დაკავშირებით.

**ესაუბრა
მერი ლაგვილავა**

## ამომრჩევლის ხმა დაცული იქნება

***P.S. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მაქვს ბედნიერება, ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო და ვთქვა, რომ სოფიო განათლებული, საქმის პროფესიონალი, პრინციპული. ჩემი სოფლის გამორჩეული ოჯახის ღირსეული რძალია. კარგი მეზობელი და მოკეთე. მიუხედავად მოუცლელობისა, არავის ტოვებს ყურადღების გარეშე.***

***სამი ქალიშვილის დედას არასოდეს აგვიანდება მშობელთა კრებაზე, შეხვედრებზე. მოკლედ აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს.***

# ქალი პოლიტიკაში



**მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაკომპლექტება დასრულდა და შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ვინაობა უკვე ცნობილია.**

**ქართულ პოლიტიკაში ქალების სიმრავლემ ახალი მოტივაციები გააჩინა და ასევე, შექმნა რესურსი, რომელიც ქვეყნის განვითარების გზაზე, ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს. ამ მიმართულებით „ხობის მოამბე" მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" დეპუტატს, ქეთი კვირიკაშვილს ესაუბრა.**

**როგორც თავად ამბობს, მისთვის არც გუნდის გადაწყვეტილება ყოფილა მოულოდნელი და არც ის, რომ ქართველმა ხალხმა „ქართულ ოცნებას" ნდობა კიდევ ერთხელ გამოუცხადა.**

***სახელისუფლებლო გუნდის ნდობის მოპოვებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ნდობა დიდი პასუხისმგებლობაა. როგორ აპირებთ თქვენი გუნდის იმედების გამართლებას?***

–ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობაა გუნდის და ჩვენი ამომრჩევლის მხარდაჭერა. ვფიქრობ, ჩემი სამუშაო გამოცდილება მომცემს საშუალებას და დამეხმარება ჩემზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულო.

***როგორი განცდა იყო, როცა გაიგეთ, რომ ხობელების გადაწყვეტილებით, თქვენ უნდა ყოფილიყავით საკრებულოს ერთ-ერთი წევრი?***

–პოლიტიკაში ყოფნა ჩემთვის უცხო არ არის. დღემდე ვარ მ.პ.გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ხობის საოლქო ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი და გუნდის მხრიდან საკრებულოს წევრობის შემოთავზება მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა, ძალიან სასიხარულო და სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ხალხმა კიდევ ერთხელ გამოგვიცხადა მხარდაჭერა.

***როგორ აპირებთ ხობელების პრობლემებსა და საჭიროებებზე მუშაობას?***

–ვიმოქმედებ ჩემი კომპეტენციის ფარგლებში და გუნდთან ერთად მივიღებ მონაწილეობას ხობის განვითარებაში.

***რა გზა გაიარეთ ამ შედეგისთვის? რა დაბრკოლებები შეგხვდათ და ზოგადად, რამდენად რთული, ან მარტივი იყო ჯერ გადაწყვეტილების მიღება, შემდეგ კი დასახული მიზნის მიღწევა?***

–დაბრკოლება და გამოწვევა ყველა სფეროშია, თუმცა, დაბრკოლების გადალახვაც ცხოვრების ერთგვარი აზარტია. ასეთი იყო ეს გზაც დღემდე, რომელიც ვფიქრობ, წარმატებით გავიარე.

***უფრო ემოციურ ნაწილზე, რომ გადავიდეთ, როგორი იყო პირველი შეფასებები ოჯახის, მეგობრებისა და ახლობლების მხრიდან?***

–ბუნებრივია, ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ძალიან გაუხარდათ. ყოველთვის ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას, რაც მოტივაციას მაძლევდა უფრო მეტი გამეკეთებინა.

***რამდენიმე წლის წინ გადავინაცვლოთ, როცა ჯერ კიდევ პროფესიის შერჩევის პროცესში იყავით... ფიქრობდით, რომ ოდესმე სახელისუფლებო რგოლის ნაწილი გახდებოდით და ხალხის საჭიროებებზე იმუშავებდით?***

–ცხოვრებაში ყველაფერი დასაშვებია, ამიტომ ეს გადაწყვეტილებაც მოულოდნელი არ ყოფილა.

***ის, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალგაზრდა ქალი პოლიტიკოსი უკვე მოტივაციაა სხვა ქალებისთვის, ამაზე არ ვდავობთ. როგორი იქნება თქვენი მხრიდან რჩევები, რა მთავარი და მნიშვნელოვანი თვისებები, ან ნაბიჯებია საჭირო წარმატებისთვის?***

–ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანის საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება, ხელს უწყობს თანასწორი გარემოს შექმნას. პოლიტიკაში ქალების აქტიური მონაწილეობისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია სურვილი, და ბუნებრივია, პოლიტიკური გუნდის მხარდაჭერა, რაც ჩემს შემთხვევაში იყო. უკეთესი მომავლისთვის ვისურვებდი მეტ ქალს პოლიტიკაში.

***ვინ არის თქვენი მთავარი გულშემატკივარი?***

–ჩემი მთავარი გულშემატკივარი არის ჩემი ოჯახი, რომელიც ყოველთვის გვერდში მიდგას. ჩვენი მთავარი ღირებულება ყოველთვის ერთგულება, ერთმანეთის მხარდაჭერა და პატივისცემა იყო. საყვარელ ადამიანებს დიდი ძალა აქვთ და ვფიქრობ, გამიმართლა, რომ ეს ადამიანები არიან ჩემს ცხოვრებაში.

***რას არ გააკეთებთ არასდროს?***

–არასდროს დავჩაგრავ ადამიანს და ყოველთვის ვეცდები ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმარო სხვას, ვისაც ეს სჭირდება. ეს ჩემი ცხოვრების მთავარი პრინციპია და აუცილებლად ასე იქნება სულ.

ინტერვიუს ბოლოს საკრებულოს წევრმა ქეთი კვიკაშვილმა გვითხრა, რომ აუცილებლად გაამრთლებს ხობელების იმედებს და მაქსიმალურად შეეცდება მოპოვებული ნდობის გამართლებას, რომ ის იქნება გოგონების და ქალების ხმა საკრებულოში, რომელთა საჭიროებებს აქტიურად დააყენებს დღის წესრიგში.

***ესაუბრა მეგი ყურაშვილი***

# ნაბიჯი განათლებული მომავლისთვის

*ჩვენს ქვეყანაში განათლება, რომ პრიორიტეტულია, ამაზე უკვე აღარავინ დაობს. სახელმწიფოს მიერ აშენებული, თუ რეაბილიტირებული თითოეული დაწესებულებაც, სწორედ ამას მოწმობს. უკვე წლებია აქტიურად მიმდინარეობს სკოლების, ბაღებისა და სხვადასხვა სასწავლო ცენტრების რეაბილიტაცია-მშენებლობები.*

*მართალია, ქვეყანაში მიმდინარე ეპიდვითარების ფონზე, ბოლო ორი წელია, სწავლების დისტანციური რეჟიმი მოქმედებს, თუმცა, დაწესებულ რეგულაციებს სკოლებში განსახორციელებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ხელი არ შეუშლია.*

*აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის საჯარო სკოლა 100 წელს ითვლის. საუკუნოვანი შენობა მოსწავლეებისა და მასწავლებლების სიცოცხლისთვის საშიში იყო. აქედან გამომდინარე, განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, გამოეყო დაახლოებით 5 მლნ ლარი და აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულში, 300 მოსწავლეზე გათვლილი, ახალი სკოლა აშენებულიყო. თითქმის ორწლიანი სამშენებლო სამუშაოების შემდეგ კი, ქვემო ქვალონის სკოლის მოსწავლეებმა ახალი სასწავლო წელი, ახალ შენობაში დაიწყეს.*

*„ხობის მოამბე“ ქვალონის სკოლის დირექტორს, ლუარა ყალიჩავას ესაუბრა, რომელიც 26 კვალიფიციურ პედაგოგთან ერთად, ბოლო 30 წელია სკოლის სათავეში დგას.*



***პირველ რიგში, ვისაუბროთ შედეგებზე. რას ითვალისწინებდა პროექტი და საბოლოო შედეგმა გაამართლა თქვენი მოლოდინი?***

–სამუშაოები წარმატებითაა შესრულებული. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. პროექტის გათვალისწინებით მოეწყო ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და რეკრეაციული ზონა. ღია, ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედანი, მოსწავლეთა და პედაგოგთა ოთახები, ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი, კვების ბლოკი, ექიმის კაბინეტი და ა.შ.

პროექტი, ასევე, მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ასევე, მხედველობადაკარგული მოსწავლეებისთვის. ვინაიდან მათ, არ გაუჭირდეთ გადაადგილება და თავი კომფორტულ გარემოში იგრძნონ, თუმცა, საბედნიეროდ, ამ ეტაპზე, ასეთი მოსწავლე არ გვყავს.

***მსოფლიოში განვითარებულმა ეპიდემიოლოგიურმა მოვლენებმა, თითოეული ჩვენგანის ცხოვრება შეცვალა. არსებული მდგომარეობის სიმძიმე, რა თქმა უნდა, სკოლის მოსწავლეებსაც შეეხო და გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე. რას ფიქრობთ სწავლების ამ მეთოდთან დაკავშირებით, რამდენად ეფექტური გამოდგა?***

–ფაქტია, რომ დისტანციური სწავლება დიდად ეფექტური არ გამოდგა. ხშირად იყო ინტერნეტის, ან ელექტროენერგიის პრობლემა. გარდა ამისა, გამოიკვეთა პრობლემები მრავალშვილიან ოჯახებში, როცა ოჯახში რამდენიმე მოსწავლე ცხოვრობს, გაკვეთილის დრო კი ემთხვეოდა, ხოლო ოჯახში საკმარისი რაოდენობის შესაბამისი ტექნიკა არ იყო. ამ ყველაფრის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც შევასრულეთ ჩვენი მისია. თუმცა, „ონლაინ“ სწავლება ვერასდროს იქნება ისეთი წარმატებული, როგორც საკლასო ოთახში, მაგრამ, როდესაც პანდემია მძვინვარებს სამყაროში, ერთადერთი გამოსავალი დისტანციური სწავლებაა.



***ამ ეტაპზე სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს. რამდენად არის დაცული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციები?***

–სკოლაში მოსწავლეების ტრანსპორტირებისას, სკოლის ეზოში, შენობაში და ა.შ. ყველგან მიმაგრებულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც მკაცრად აკონტროლებს რამდენად იცავენ მოსწავლეები და მასწავლებლები დადგენილ რეგულაციებს. საგაკვეთილო პროცესზეც აბსოლუტურად ყველა ბავშვი ზის პირბადით, თუ ვინმეს დაავიწყდება, სკოლას აქვს რეზერვი და ჩვენ თვითონ ვუზრუნველყოფთ. ასევე, ყველა მოსწავლეს დავალებული აქვს ჩანთაში იქონიოს სადეზინფექციო ხსნარი. შემოსასვლელშივე კონტროლდება თითოეული პირის ტემპერატურა.

***იმ აქტივობებზეც რომ გვესაუბროთ, რომლის განხორციელებასაც მოსწავლეების განვითარების მიზნით გეგმავთ?***

–ჩვენი მიზანია, საშუალო განათლებასთან ერთად (პარარელურად), მოსწავლეებმა მიიღონ პროფესიული განათლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ ახალ სკოლაში მიიღონ სრულფასოვანი განათლება, ჩვენი დიდი სურვილია, შევინარჩუნოთ ძველი შენობა, რადგან იქ შევძლოთ ისეთი პროგრამების განხორციელება, რომ მოსწავლეებს (სურვილისამებრ) შესაძლებლობა ჰქონდეთ, საშუალო საფეხურის გავლის პარალელურად იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე და კარიერულ წინსვლაზე. შარშან არჩევანი სამ მიმართულებაზე შევაჩერეთ: ბიზნესის მიმართულება, სასტუმროების მომსახურება და დიზაინი, ასევე, სტილისტიკის მიმართულება.



***ყველასათვის ცნობილია, რომ სკოლის გამოცდილი დირექტორი ბრძანდებით. ისიც ვიცით, რომ ძალიან ბევრი საინტერესო პროექტების ავტორი და სულისჩამდგმელი ხართ. რომელიმე პროექტს ხომ არ გამოყოფთ, რომელმაც გარკვეული წარმატება მოუტანა სკოლას?***

–სკოლას არაერთი პროექტი აქვს წარმატებულად განხორციელებული. ასევე, არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ. პირადად მე ორჯერ ვიყავი მივლინებული საზღვარგარეთ ერთხელ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეორეჯერ, სერბეთში.

სკოლის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი იყო „ირმის ნახტომი“, რომელშიც მონაწილეობა 2005 წელს მივიღეთ და პირველსავე ნაკადზე გავიმარჯვეთ. პრიზის სახით 15 კომპიუტერი გადმოგვცეს, ეს სოფლისთვის უდიდესი ზეიმი იყო. 2005 წელს, როდესაც „ირმის ნახტომმა“ პირველად გამოაცხადა კონკურსი, სკოლების კომპიუტერული ტექნიკით მომარაგებაზე, გავაკეთეთ პროექტი საბიბლიოთეკო ფონდის შევსებასთან დაკავშირებით, სადაც გადმოგვეცა 200 დასახელების უნიკალური წიგნი: მხატვრული ლიტერატურა, საცნობარო, ენციკლოპედიები და ა.შ. კიდევ იყო წარმატებული პროექტები, ერთ-ერთი ასეთი გახლდათ „საქართველოს მომავალი ფერმერები“. 2007 წელს განათლების სამინისტროს მიერ სასკოლო გამოფენა თბილისში მოეწყო. ასევე მქონდა პატივი, წარვმსდგარიყავი რაიონის ყველა სკოლის დირექტორის წინაშე და გამეკეთებინა პრეზენტაცია, თუ როგორ მიმდინარეობს ამერიკაში სასწავლო პროცესი, როგორ არის სკოლები თანამედროვე ტექნიკითა და ლაბორატორიებით აღჭურვილი და ა.შ. ამ თემასთან დაკავშირებით ჩემს მოსწავლეებთან ფართომასშტაბიანი პრეზენტაცია გავაკეთე.

***რას ეტყოდით სკოლის მოსწავლეებს, განსაკუთრებით პირველკლასელებს, რომლებიც გადადიან ცხოვრების ახალ ეტაპზე?***

–უპირველესად, ჩემი სკოლის პირველკლასელებზე გეტყვით, რომ წლევანდელი წელი მათთვის განსაკუთრებულია. მათ სრულიად კომფორტულ და ახალ სასწავლო გარემოში მოუხდათ სწავლის დაწყება, რითაც წინა წლების პირველკლასელები არ იყვნენ განებირვებულნი. ყველაფერი საუკეთესო მინდა ვუსურვო მათ და არა მხოლოდ მათ, არამედ, სკოლის თითოეულ მოსწავლეს. მინდა, რომ იყვნენ მისაბაძი მამულიშვილები, ვუსურვებ ტრადიციების პატივისცემასა და სიყვარულის დიდ უნარს. ბოლოს კი მინდა ყველა მოსწავლეს დავულოცო გზა და თითოეული ნაბიჯი, რომლითაც ისინი შეეცდებიან ცოდნის მწვერვალებისკენ სვლას.

* * *

*ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის სკოლის დირექტორმა საინტერესო ინტერვიუს ბოლოს გვითხრა, რომ სკოლის გახსნის ცერემონიალს საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მოქმედი მერი გოჩა ქაჯაია, მისი მოადგილე მახარე ჩოკორაია და ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ბეატრისა რუსია დაესწრნენ.*

*ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქვემო ქვალონის საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ახალი სასწავლო წელი მიულოცეს და განათლების სამინისტროსგან კომპიუტერული ტექნიკა გადასცეს.*

*„ხობის მოამბე“ დაინტერესდა რეაბილიტაცია-მშენებლობების მიმართულებით, თუ რა ვითარება იყო მუნიციპალიტეტის სკოლებში განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით. როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა* ***ბეატრისა რუსიამ*** *ჩვენთან საუბრისას განმარტა, ქვემო ქვალონის სკოლის მშენებლობის პარალელურად ხობის მუნიციპალიტეტის 17 საჯარო სკოლაში მცირე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, რომლის შედეგადაც ახალი სველი წერტილები მოეწყო, ასევე შავღელეს საჯარო სკოლის პროექტს რაც შეეხება, აქ ჩატარდა სრული რეაბილიტაცია. პროექტი კი სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე სკოლის რეაბილიტაცია იგეგმება.*

***მეგი ყურაშვილი.***

# ახალი სასწავლო წელი დაიწყო...



ახალი სასწავლო წლის დაწყება ჩვეულებრივ პერიოდშიც ზღვა ემოციასთან არის დაკავშირებული. მით უმეტეს–პანდემიის პირობებში .წელს კი განსაკუთრებულად ამაღელვებელი იყო, ვიდრე ოდესმე. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებში, მშობლებსა და მასწავლებლებში სიხარულისა და შფოთვის შერეული გრძნობები შეინიშნებოდა.

ნება სჭირდება. ამისთვის აუცილებელია ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვა, საყოველთაო იმუნიზაციის პროცესში კიდევ უფრო აქტიურად ჩართვა. განათლების სფეროს თითოეულმა წარმომადგენელმა–მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და რა თქმა უნდა მშობლებმა– ყველამ უნდა გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა და გაუფრთხილდეს საკუთარ და სხვის ჯანმრთელობას.

როგორც მოგეხსენებათ, პირველკლასელებმა ახალი სასწავლო წელი პირდაპირ სასკოლო გარემოში დაიწყეს. ეს გადაწყვეტილება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო და ეფუძნება პედაგოგიკურ მოსაზრებას, რომლის თანახმად პირველკლასელთა პირველი სასკოლო გამოცდილება უმჯობესია წარიმართოს საკლასო გარემოში, თანაკლასელებისა და მასწავლებლების გარემოცვაში. ვფიქრობ, მათთვის სკოლა უნდა იყოს აღმოჩენების, სიხარულის, სიმშვიდის, ჰარმონიისა და თანამშრომლობის სამყარო. წარმატებები მინდა ვუსურვო ყველა პირველკლასელს ამ მოულოდნელობებით სავსე სამყაროში მოგზაურობისას.

## „ვცდილობთ დავხვეწოთ სწავლების ფორმები და მიდგომები“

ბავშვებმა სკოლის ეზოში შეკრება ადრე დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს ღია სივრცეში პირბადის ტარება არ მოეთხოვებათ. ბევრ ბავშვს, მათ შორის, ყველაზე პატარებსაც, ის მაინც ეკეთათ. ამით ისინი თითქოს უფროსებს აჩვენებდნენ, რომ კოვიდ 19-ის შესახებ თავადაც ინფორმირებულები იყვნენ. დისტანციური სწავლების გრძელი პერიოდის შემდეგ სასწავლო პროცესის საკლასო ოთახში დაბრუნების სურვილი იმდენად მაღალია, რომ ბავშვებიც, მშობლებიც და მასწავლებლებიც ღიად ადასტურებენ მზაობას, მკაცრად დაიცვან მთავრობის მიერ დაწესებული ახალი რეგულაციები.

**მოსწავლეებს, მასწავლებლებს და ზოგადად სკოლის პერსონალს, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროტოკოლის შესრულება უწევს. წესები უფრო მკაცრია ვიდრე შარშან, დაწყებითი კლასების მოსწავლეებიც ვალდებულნი არიან, ატარონ პირბადე. გარდა ამისა, დეტალურადაა გაწერილი ყველი ნიუანსი, თუ რა უნდა მოიმოქმედოს სკოლამ, რათა უზრუნველყოს შენობაში უსაფრთხო გარემო.**

განათლების სისტემამ პანდემიის დროს ძალიან რთული გზა გაიარა, მათ შორის ჩვენმა სკოლამაც, გამოცდილება, რასაც ჰქვია ტექნოლოგიების გამოყენება და ვირტუალურ სივრცეში სასწავლო პროცესის ორგანიზება, არ არსებობდა; თუმცა ჩვენმა პედაგოგებმა სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით უზრუნველყვეს ყველა მოსწავლისთვის განათლების ხელმისაწვდომობა.

პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის საკლასო სივრცეებში გაგრძელება ძალიან დიდი მონაპოვარია და მას შენარჩუ-

სწავლისა და ცოდნის გარეშე ადამიანი დღეს ვერ გაუმკლავდება გამოწვევებს, რაც მათ წინაშე დგას. ჩვენი პედაგოგები ეხმარებიან თითოეულ მოსწავლეს სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობაში, ახალი გამოწვევების დაძლევაში, სწავლაში, არა მხოლოდ კარგი შეფასებისთვის, არამედ ხარისხიანი ცოდნისთვის.

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლაში 2020-21 სასწავლო წელს 27 კურსდამთავრებულიდან თხუთმეტმა, რთული პერიოდის მიუხედავად, წარმატებულად მოახერხა ეროვნული გამოცდების დაძლევა, ექვსმა მათგანმა გრანტი მოიპოვა და აგრძელებენ სწავლას სხვადასხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტებში.

**ელენე ბუკია**–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მედიცინა. 70% გრანტი.

**ნანა რუხაძე**–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. 50% გრანტი.

**ნინო ბუკია**–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. 50% გრანტი.

**ნინო მეუნარგია**–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. 50% გრანტი.

**დალი ბუკია**–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. 50% გრანტი.

**გიორგი ნარსია**–გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. დიპლომირებული სტომატოლოგი. 50% გრანტი.

**ლია ბარქაია**–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის სტუდენტი.

**გვანცა ქირია**–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

**ნინი ბუკია**–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

**კლარა კუკავა**–სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

**მალხაზ კანკია**–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

**ლუკა ლატარია**–საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

**ანი ლატარია**–ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

**თორნიკე ძიძარია**–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, ტურიზმი) საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

**ნიკო კუტალია**–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

ვულოცავ ჩვენს კურსდამთავრებულებს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას და ვუსურვებ წარმატებებს!

და ბოლოს, ყველა პედაგოგს გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს!

გისურვებთ სიხარულს, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და, რაც ჩვენთვის, პედაგოგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, კარიერულ წინსვლას და წარმატებას; ჩვენს მოსწავლეებს კი მონდომებას, სიბეჯითეს, გამძლეობას, ცოდნის შეძენის დაუოკებელ წყურვილს და გამარჯვებას!

ჩვენ წლითიწლობით ვიზრდებით, ვეძებთ სიახლეებს, ვცდილობთ დავხვეწოთ და სრულვყოთ სწავლების ფორმები და მიდგომები.

***მანანა ბუკია-ბაძაღუა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის დირექტორი.***

# „სკოლა მოერგო ეპიდსიტუაციას“



სკოლა და ზოგადად განათლების სისტემა დღევანდელ საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული თემაა. სიტყვა დღევანდელი ვახსენე, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის სწავლა-განათლება და მასთან დაკავშირებული ყველა თემა ოდითგან აინტერესებდა უმრავლესობას და პირდაპირ თუ ირიბად აქტიურად ერთვებოდნენ მასში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არ არსებობს ოჯახი, რომელიც რაღაც ფორმით ბავშვის აღზრდასთან და მის განათლებასთან არ იყოს კავშირში.

სწორედ ამიტომ, მაშინაც კი, როცა XXI საუკუნის კაცობრიობას საერთო და დაუნდობელმა უბედურებამ შემოუტია კოვიდ-19-ის სახით, სკოლა იბრძვის იმისთვის, რომ გადარჩეს, თავისი ფუნქცია შეასრულოს, ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდეს და გარემოებებს იმგვარად მოერგოს, რომ ბავშვების ინტერესები არ დაზიანდეს.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, 2021-2022 სასწავლო წელი ცოტა უცნაურად, განსხვავებულად და არაერთგვაროვნად დაიწყო მთელ საქართველოში და, რა თქმა უნდა, ქარიატის საჯარო სკოლაშიც. II-XII კლასელებმა 15 სექტემბრიდან ონლაინ რეჟიმში განაახლეს სწავლა, ხოლო პირველკლასელთათვის დიდი ხნის ნაოცნებარი პროცესი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მცირე ხნით, ოთხ ოქტომბრამდე გადაიდო.

სკოლა მოერგო ეპიდსიტუაციას და კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით მოემზადა მოსწავლეთა დასახვედრად. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და ტექპერსონალი აიცრნენ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დროულად მოგვამარაგა საჭირო რესურსებით. პირველკლასელთა ბუკები და სახელმძღვანელოები სწავლის დაწყებამდე შემოვიდა სკოლებში. მოვერიდეთ მოსწავლეთა და მშობელთა თავშეყრას სასკოლო სივრცეში და სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სასკოლო სახელმძღვანელოები ინდივიდუალურ პაკეტებად შეკრული შინ მივუტანეთ მოსწავლეებს.

დისტანციური და დასწრებითი ცხრილი დროულად აიტვირთა ელექტრონულ ბაზაში, რაც ბავშვებს საკუთარ სასკოლო კალენდარში აესახათ და უკვე მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკლასო ჯგუფებით წუთი-წუთზე გათვლილი და მოწესრიგებული სასწავლო პროცესი დაეწყოთ. მასწავლებლებმაც მოინდომეს და მშობლებმაც, რომ მინიმუმამდე დაყვანილი ხარვეზებით გვემუშავა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევით,სპეციალურ პლატფორმაზე. რეგისტაციით იაფი და ხარისხიანი ინტერნეტპაკეტიც ხელმისაწვდომი გახდა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. ესეც წაადგა საქმეს. ვერ ვიტყვი, რომ გამონაკლისის გარეშე ყველა მოსწავლე ჩაერთო დისტანციურ სწავლებაში, მაგრამ დიდმა უმეტესობამ ეს მოახერხა.

ოთხი ოქტომბრიდან კი დიდი სიფრთხილის დაცვით, რეგულაციებითა და ახალი, გამკაცრებული წესებით, ერთმანეთისა და საკუთარი უფლებების გათვალისწინებით ჩვენს საერთო ოჯახში - მშობლიურ სკოლაში შევიკრიბეთ და დასწრებითი სწავლებაც განვაახლეთ. ისევ ჩავხედეთ ერთმანეთს თვალებში, გავახარეთ და გავათბეთ ერთმანეთი. უჩვეულო და უცნაური მუხტი იყო სკოლაში. ალბათ, ასე არასდროს გაგვხარებია ერთმანეთის დანახვა და სწავლის დაწყება. მივხვდით, რომ ყოველდღიურ რუტინად ქცეული და ზოგჯერ მომაბეზრებელი ყოველდღიურობაც ფასდაუდებელია, ხშირად ბედნიერებაც კი არის. სკოლა ბავშვების ჟრიამულის, ხმაურისა და მასწავლებლების გარეშე წარმოუდგენელია. მის გარეშე ჩვეულებრივი, ნორმალური ყოფა, უბრალოდ, არ გამოდის. საშინელებაა დაცლილი, უბავშვებო სკოლის ცარიელი სივრცე, მისი უჩვეულო მდუმარება.

როგორც იქნა, დავბრუნდით ჩვენს საერთო, დიდ და მშობლიურ ოჯახში და მისი ბედნიერი, სიყვარულით სავსე სივრციდან ყველას გილოცავთ ახალი, 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებას. წარმატებული, საინტერესო და ღირებული ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნის მოსწავლეებისთვის. ბედნიერად, მშვიდობით და ცოდნის რთულ, საინტერესო გზაზე წინწასულებს მშვიდობით ჩაგვემთავრებინოს ის.

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

***მაია ალექსანდრია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარიატის საჯარო სკოლის დირექტორი.***

# პრობლემები წარმატებით გადაიჭრება



„სამშობლო, ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია“, დიდებული მწერლის ნოდარ დუმბაძის დიდებული სიტყვებია.

ცნობიერების მატებასთან ერთად ადამიანს უყალიბდება ფასეულობები და მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია იმის შეგრძნება, რომ ქალაქი, სადაც ფეხი და ენა აიდგი, სადაც სწავლობდი, სადაც შენი ოჯახი, ახლობლები, მეგობრები ცხოვრობენ, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია, და რომელსაც ქალაქი ხობი ჰქვია.





დიახ, ჩემი ქალაქი ჩემთვის ყველაფერია, ჩემი და ჩვენი, ხობელების იდენტობის განმსაზღვრელია და ყველანი, ვინც ამ ქალაქში ცხოვრობს ან მას თავის ფესვებს უკავშირებს, შინაგანად, ადამიანურად ვალდებულია ერთი აგური მაინც დადოს მის აღმშენებლობაში, რათა ის უკეთესი იყოს, ვიდრე იყო. ჩვენმა შვილებმა აქ იცხოვრონ და იამაყონ თავისი კოხტა, კოპწია თანამედროვე ქალაქით.

პანდემიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა ადამიანების ცხოვრებაში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია წლების განმავლობაში ჩვენი გუნდის–ამჟამინდელი ხელისუფლების პერიოდში სრულიად მუნიციპალიტეტში და მათ შორის ქალაქში, ბევრი რამ გაკეთდა, რისთვისაც მთელ გუნდს დიდ მადლობას ვუხდი.

მალე მუნიციპალიტეტს ახალი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ეყოლება განახლებული გუნდით. საჭიროა კიდევ უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. მჯერა, მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები წარმატებით გადაიჭრება.

გაკეთებულ საქმეებზე აღარ შევჩერდები, უმჯობესია მიმდინარე და გასაკეთებელ პროექტებზე გესაუბროთ.

ქალაქში ძირითად პრობლემად რჩება სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. მართალია, ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, თუმცა ამ საკითხის სიმწვავე კიდევ ერთხელ დაგვანახა რამდენიმე დღის წინ მოსულმა უხვმა ნალექმა. სხვადასხვა ქუჩებზე დაიტბორა ეზოები, სახლები. ამოსაწმენდია სანიაღვრე არხები გარკვეულ უბნებზე ან მთლიანად არის სარეაბილიტაციო. კოლხეთის დასახლების სხვადასხვა ლოკაციებზე საჭიროა ასფალტირებული გზის დაგება. ზვიად გამსახურდიას ქუჩის გაგრძელებაზე მე-3 სასაფლაოს მიმართულებით აუცილებელია ინფრასტრუქტურის მოწყობა (შესაყვანია ელექტოენრეგია, წყალი და ა.შ.)

ქალაქში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. დაწყებულია ქალაქში წყალარინების (კანალიზაცია) თანამედროვე ქსელის მოსაწყობად პირველადი დაგეგმარებითი სამუშაოები და გამოკვეთილია კონტურები თუ როგორ, რა პრინციპით მოხდეს ამ მასშტაბური, ამბიციური პროექტის განხორციელება. შედეგად მოსახლეობას ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა მოუგვარდება.

დაიწყო ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის მე-3 ეტაპი, რომლის პროექტის ღირებულება 3800665 ლარია. პროეტი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში ხორციელდება.

პროექტის შესაბამისად მოეწყობა საბავშვო ატრაქციონი, სანიაღვრე სისტემა, სავარჯიშო ტრენაჟორები, ველობილიკი, სტადიონი, „წყლის სოკოები“, დეკორატიული სკამები, მდინარის სანაპიროზე ჩასასვლელი კიბეები, საფეხმავლო ბილიკები, დაიგება ფილები.

ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ მოეწყობა ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინისტადიონი და სპორტული ინფრასტრუქტურა.

დიდი იმედი მაქვს, რომ დასრულდება მულტიფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობა. ეს ყველაფერი გამოწვევა იქნება მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული ხელისუფლებისთვის.

30 ოქტომბერს გაიმართება ჩვენს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური. მჯერა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ღირსეულზე გააკეთებს არჩევანს და გაგრძელდება დაწყებული პროექტების განხორციელება ახალი მიმართულებებით. ჩვენი გუნდის გამარჯვებაში აბსოლიტურად დარწმუნებული ვარ.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თქვენს გაზეთს, ჩემს ხალხს კი მშვიდობა, ჯანმრთელობა, ეკონომიური აღმავლობა ვუსურვო.

***კობა თუთბერიძე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქალაქ ხობში.***

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტში, 2022 წელს, დამატებით 11 სოფელში გაზიფიცირების სამუშაოები ჩატარდება.

გაზიფიცირების პროექტი 2022 წელს შემდეგ სოფლებში განხორციელდება:

პირველი გურიფული, მეორე გურიფული, გაღმა შუა ხორგა, გამოღმა შუა ხორგა, გაღმა პირველი ხორგა, გამოღმა პირველი ხორგა, ზემო ქვალონი, პატარა ფოთი, გვიმარონი, ჭითაუშქური, საალანიო-საფაჩულიო.

ყორათში, ახალსოფელში, გაღმა ქარიატაში, გამოღმა ქარიატაში, ბულიშში, გიმოზგონჯილში, დურღენაში, საჭოჭუოში და საბაჟოში პროექტირება განხორციელდება 2022 წელს, ხოლო მშენებლობა 2023 წელს.

საგვიჩიოში, სალვამიჩაოში, საქორქიოში, ყულევში და შავღელეში პროექტირება განხორციელდება 2023 წელს, ხოლო მშენებლობა 2024 წელს დაიწყება.

უახლოეს დღეებში დაიწყება ბია-საშონიოს, ზემო ბიას, გაღმა საჯიჯაოს, ზენის, ზუბის, ჯაპიშაქრის, გაშფერდის გაზიფიცირება.

2017 წლიდან დღემდე გაზიფიცირდა ნოჯიხევის, ხეთის, პირველი მაისის, ხამისკურის, თორსა-დღვაბის, ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი 20 სოფელი და ასევე სოფლები: სახოჭოლავო, ახალი ხიბულა, ბია.

---



ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მახარე ჩოკორაია და ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი იოსავა გაეცნენ.

დამონტაჟდება საგზაო ნიშნები, ამოიწმინდება სანიაღვრე არხი, ასფალტის საფარი დაიგება 2-კილომეტრიან მონაკვეთზე.

სამუშაოების დასრულების შემდეგ გზაზე გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 796393 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არქეოპოლისი“ აწარმოებს.

---



ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად: 13 კილომეტრზე დაიგება ბეტონის საფარი, მოეწყობა სანიაღვრე არხები, ხიდები და მილხიდები, დამონტაჟდება საგზაო ნიშნები. პროექტს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყობა საქანთარიოს, საქვარაიოს, საკონჯარიოს, საღურწკაიოს უბნებში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაქვინჯისა და ძველი ხიბულის დამაკავშირებელ გზაზე. სამუშაოების ჯამური ღირებულება 9 მილიონ 500 000 ლარამდეა.

2019 წელს განხორციელდა ძველი ხიბულა-ნარაზენის დამაკავშირებელი გზის 9-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რაზეც დაიხარჯა 4 მილიონ 657 ათასი ლარი.

# ინფორმაცია კოვიდ–19–ის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ატარებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს კოვიდ-19–ის გავრცელების წინააღმდეგ. ჯანდაცვის ცენტრი მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებებს უზრუნველყოფს სწრაფი, მარტივი და პჯრ ტესტებით, კოვიდ-19–ის საწინააღმდეგო სამი სახეობის ვაქცინით: ფაიზერი, სინოფარმი, სინოვაკი. აღნიშნული სამივე ვაქცინა გამოირჩევა ერთნაირი ეფექტურობით.

ხობის მუნიციპალიტეტში მ/წლის აგვისტოს თვეში გვქონდა კოვიდ-19–ის 325 შემთხვევა, სექტემბერში 300, ოქტომბრის განვლილ პერიოდში 221 დადასტურებული შემთხვევა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა გამოაცხადა, რომ საქართველოში მე-5 ტალღა დაიწყო. მ/წლის ოქტომბერში ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვნად შემცირდა ვაქცინაციის მაჩვენებელი, დადგა შემოდგომა, იმატა გრიპმა და სხვა რესპირაციულმა ინფექციებმა. მოსალოდნელია ტვინდემია, რომელიც არის სეზონური გრიპის და კოვიდ-19–ის დაწყვილება, რაც ძალიან საყურადღებოა, თუ ყველანი არ ავიცრებით და არ მოიმატებს აცრილთა რაოდენობა, გევქნება ძალიან ცუდი ნოემბერი.

რა არის „ტვინდმია“?–სიტყვასიტყვით თუ გადავთარგმნით ნიშნავს ტყუპ პანდემიას. იგულისხმება ზამთრის პერიოდში გრიპის ვირუსისა და კოვიდ-19–ის პარალელური ცირკულაცია, ამ შემთხვევაში გველის ძალიან მძიმე ზამთარი, გვექნება დაავადების მძიმე მიმდინარეობა და სამწუხაროდ, გარდაცვლილთა დიდი რაოდენობა.

როგორ შეიძლება ავიცილოთ „ტვინდემია“? გრიპის სეზონი ჩვეულებრივ ნოემბერში იწყება და პიკს დეკემბრ-იანვარში აღწვს, მისგან თავდაცვის საშუალება, ისეთივეა როგორც კოვიდ-19–ის შემთხვევაში, პირბადე, ხელების ხშირი დაბანა, დისტანციის დაცვა, პლუს გრიპის და კოვიდ-19–ის წინააღმდეგ აცრები.

მ/წლის სექტემბტრის თვეში ქვეყნის მასშტაბით ყოველდღიურად აცრას იტარებდა 24-25 ათასი ადამიანი, დღეს ეს მაჩვენებელი შემცირდა და შეადგენს 4-5 ათასს, რაც ძალიან დაბალი და საგანგაშო ციფრია.

კოვიდ-19–ის შემთხვევების მატება დაიწყო მ/წლის ივლისის თვიდან, განსაკუთრებით ბევრი ინფიცირებული გვყავდა აგვისტო-სექტემბრის თვეში. ოქტომბერშიც მნიშვნელოვანი კლება არ შეიმჩნევა.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სახელით, კიდევ ერთხელ მივმართავთ თხოვნით და რეკომენდაციებით ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას დავიცვათ დაავადებათა კონტროლის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები: გამოვიყენოთ პირბადე ყველგან, ნუ გავმართავთ და არ მივიღოთ მონაწილეობა ხალხმრავალ სუფრებში. დავიბანოთ ხშირად ხელები, გამოვიყენოთ ხელის საწმენდი სპირტის შემცველი სადეზინფექციო საშუალებები და, რაც მთავარია, ნუ დავუჯერებთ ანტივაქსერებს, ყველა აუცრელმა პირმა დროულად და დაუყონებლივ მიმართოს ამცრელ კაბინეტებს, რომლებიც ფუნქციონირებს ევექსის ჰოსპიტალური ქსელის ხობის კლინიკაში, სამედიცინო დაწესებულებებში, „პულსი“ და „მკურნალი“, სადაც თქვენ მოგემსაურებათ მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი.

ამცრელი კაბინეტები ხობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია კოვიდ-19–ის საწინააღმდეგო ვაქცინებით, როგორიცაა ფაიზერი, სინოფარმი, სინოვაკი.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.***

# ჩვენ ერთად დავამარცხებთ პანდემიას!

## ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გრძელდება

**გრძელდება სოფლის ამბულატორიებში ბრიგადული გასვლები, კოვიდ საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რევაქცინაციაზე.**

**კლინიკა „პულსის“ და კლინიკა „მკურნალის“ სამედიცინო ბრიგადების მიერ აცრები ჩატარდა: ახალ ხიბულაში, საჯიჯაოში, თორსაში, შავ-ღელეში, ჭალადიდში, ზემო ქვალონში ს/ამბულატორიებში.**

**აცრების ჩატარება გაგრძელდება მანამ, სანამ არ აიცრება, არანაკლებ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 60%, რათა შეიქმნას მყარი იმუნური ფენა.**

**ჩვენ ერთად, ერთმანეთის გვერდით დგომით, დავამარცხებთ ამ ვერაგ და საშიშ ვირუსს.**







**სულთათანა**

# გულწრფელი მოგონება



***„მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი შვილის მშობელი!..“***

იოსებ ნონეშვილის ლექსის ეს ორი ტაეპი ზუსტად წილხვედრია ხობის საშუალო სკოლის ყოფილი ბიოლოგიის მასწავლებლის, ქალბატონ ოლია იოსავას ცხოვრების.

მაშინ მასწავლებლები გამორჩეულად იცვამდნენ, როგორც მოსწავლეები. ქალ-ვაჟები ფორმებით და მასწავლებლები შავი კაბა-კოსტუმებითა და თეთრი პერანგებით. რაც მათ ცოტა არ იყოს, მკაცრ გამომეტყველებასაც მატებდათ.

ყველა ბავშვს ჰყავდა გამორჩეული მასწავლებელი. 1-4 კლასელებს ის ერთადერთი მასწავლებელი, რომელიც მათ ასწავლიდა, შემდეგ კი... მრავალი.

მე ბევრი მასწავლებელი მიყვარდა და მომწონდა ცოდნით, კეთილშობილებით სიმკაცრითა და ლმობიერებით.

ერთ-ერთი მათგანი ოლია მასწავლებელი გახლდათ. ბიოლოგიის კაბინეტში ნებას მრთავდა მომევლო ყვავილებისთვის და დამეცვა იქ არსებული ნივთები. როგორც სკოლასთან ახლოს მცხოვრები, სხვებთან ერთად, ვუვლიდი ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ დაარსებულ ცხოველთა და ფრინველთა „სამყაროს“, სადაც გვყავდა კურდღლები, ციცრები, ლამაზი ქათმები და სხვა არსებები.

კარგად ვსწავლობდი მის საგანს და მასწავლებელიც ძალიან მიყვარდა.

მას საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა. ძმებსა და ძმისშვილებზე გადაგებული ქალბატონი იყო. ვინ მოთვლის რამდენი თაობისთვის გაუწევია დედობა, რამდენისთვის მფარველი ანგელოსი ყოფილა.

იგი იყო კეთილიცა და მკაცრიც. უცოდინარობას არავის პატიობდა. ყველამ იცოდა მისი შეფასების გემო. მე მისი სიმკაცრეც მიყვარდა და მისი ახსნილი გაკვეთილებიც...

ოქტომბერი მასწავლებლის თვეა. რატომღაც მომაგონდა ოლია იოსავა და მომინდა ათეული წლების შემდეგ გულწრფელად მეთქვა: ხშირად გიგონებთ და მინდა იმიერში მოგილოცოთ ეს დღე მასწავლებელო!

ნათელში იყავით! იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

***ნანი კილასონია***

## მილოცვები



ოსლოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **ნუგზარ წურწუმიამ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ხობელმა ფალავანმა მეტოქე 9-0 დაამარცხა.

## ალექსანდრე (საშა) არჩაიას!



ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს, გულშემატკივარსა და აქტიურ რესპონდენტს, ხობის №2 საშუალო სკოლის ყოფილ დირექტორს, საქართველოში ცნობილ მათემატიკოსს, უნიჭიერეს ადამიანს, საპატიო ხობელს, ნამდვილ ერუდიტს, კეთილსა და მოამაგე ადამიანს, რესპუბლიკის დამსახურებულ, ორდენოსან მასწავლებელს, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსს, რამდენიმე წიგნის ავტორს ბატონ ალექსანდრე (საშა) არჩაიას ვულოცავთ მასწავლებლის დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ბატონო საშა, თქვენი მეგობრები, კოლეგები, გულშემატკივრები, მოსწავლეები, ხობელები გილოცავენ მასწავლებლის დღეს და ელიან დაუბრუნდებით თქვენს პოზიციებს. ჩვენ და ჩვენი გაზეთი ვუერთდებით მათ სურვილებს და თქვენგან ახალ-ახალი თემებით, საგაზეთო სტატიების მოლოდინში ვართ...

გილოცავთ! გვიყვარხართ!!

***გაზეთი „ხობის მოამბე“.***

# სწავლა—წარმატების გარანტი!



წარმატებისკენ მიმავალ გზაზე ძალიან ბევრი დაბრკოლება გვხვდება. ზოგი ნებდება და დინებას მიყვება, ზოგიც იბრძვის და ფინიშის ხაზთან გამარჯვებულის ტიტულს იღებს. სწორედ ასეთი აღმოჩნდა საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე, ანნა შამათავა. როდესაც მისი ისტორია მოვისმინე, არ შემეძლო აღტაცება დამემალა და სწორედ აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე მომეყოლა, ერთი პატარა გოგოს წარმატების ისტორია, რომელმაც ადრეულ ასაკშივე შეძლო ხალხის პოზიტიურად ალაპარაკება.

ანნა შამათავა ის გოგოა, რომელმაც ყოველგვარი დამატებითი რეპეტიტორების გარეშე შესძლო საკუთარი შრომით და ძალისხმევით მოეპოვებინა 100 % დაფინანსება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და დღეს, ის ღირსეულად ატარებს ხობის მუნიციპალიტეტში იმ ერთადერთი გოგონას სტატუს, რომელმაც ეს ყველაფერი დამოუკიდებლად შესძლო.

როგორც ანნა „ხობის მოამბეს“ უყვება, ბავშობიდანვე ძალიან ცნობისმოყვარე იყო. ისეთი, რომელსაც ახალი ადამიანები, იდეები და სიახლეები მუდმივად აინტერესებდა, თუმცა უფროსი დის სტატუსსაც ღირსეულად ირგებდა. შემდეგი კი სკოლის პერიოდი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ანნა ვერ ახერხებდა ხშირად სკოლაში სიარულს, არსებულ გარემოებებს ხელი არ შეუშლია წარმატებული ყოფილიყო. სწავლისას გამორჩეულად ისტორიას და ინგლისურს ანიჭებდა უპირატესობას.

დღეს კი ანნა ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდა, ის სტუდენტია. ყველაზე ტკბილი მოგონებები, ხომ უნივერსიტეტს უკავშირდება. აი, ისეთი, მომავალში შვილებსა და შვილიშვილებს, რომ უნდა მოუყვე. უნივერსიტეტი ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს და მე მჯერა, რომ ანნა ამ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოიყენებს.

ანნას ისტორია არა მხოლოდ ერთი უბრალო ამბავია, არამედ ის სტიმული და მოტივაციაა ისეთი ბავშვებისთვის და აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც მისი გზა დამოუკიდებლად, დაუხმარებლად უნდა გაიარონ.

„საუკეთესო საჩუქარი, რომელსაც ცხოვრება გვიძლვნის, არის ბეჯითად მუშაობა საქმეზე, რომელიც ამად ღირს“ - თეოდორ რუზველტის გასაოცარი გამონათქვამის პირდაპირი მაგალითია ანნა. მე მჯერა, რომ ის შესძლებს და კიდევ არაერთხელ ასახელებს მის მუნიციპალიტეტს. მინდა წარმატებები ვუსურვო მას ამ რთულ, მაგრამ საინტერესო გზაზე.

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი 2020- 2021 წლის კურსდამთავრებულებს ულოცავს სტუდენტობას და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას განსაკუთრებით კი ანნა შამათავას და სწორედ, აქედან გამომდინარე, მიიღებულიქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ის დასაჩუქრდება პლანშეტური კომპიუტერით, რომელსაც გადასცემს რესურსცენტრის იურისტი აკაკი გეთია, ასევე ორიგინალური საჩუქარი ელოდება რესურსცენტრის უფროსის, ქალბატონ ბეატრისა რუსიასგანაც.

***მეგი ყურაშვილი***

## ხობში ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ ხელოვნურსაფარიანი სტადიონი და სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა





**აიცერი! კოვიდ–19**

**აიცერი!**

**კოვიდ–19 აიცერი!**

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.